

# ბახსენება – MEMORY

ნათელა ვაჩნაძე

## დრო და ადამიანები<sup>1</sup>

ვ უ ძ ღ ვ ნ ი ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ  
მ ა რ ი ა მ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს  
ნ ა თ ე ლ ხ ს ო ვ ნ ა ს

### პროლოგი

მოგონება ერთი ჩვეულებრივი ქართული სიტყვაა, თითქოს მარტივი, ყველასთვის გასაგები, სინამდვილეში კი მრავლისმეტყველი, სულაც მრავლისმომცველი, რომელსაც თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს ლიტერატურათმცოდნეობაში. ერთი მისი ნიშან-თვისება გახლავთ დიდად საინტერესოდ მოთხრობა ადამიანზე ან ადამიანთა ერთობაზე, მოვლენებზე, ათასგვარ კოლიზიებზე, მაგრამ ეს შეუძლიათ მხოლოდ უაღრესად დიდ მწერლებს. ერთი კი ნამდვილად ვიცი — სიმართლე და მხოლოდ სიმართლე მოეთხოვება გენიალურ მწერალსაც, მით უფრო მას, და ჩვეულებრივ მოკვდავსაც. ისტორიკოსის დაწერილი ერთ წესს უნდა ეფუძნებოდეს: ზუსტ აღწერას მოვლენის, მოვლენათა მთელი სპექტრის, საზოგადოების ან ცალკეული ინდივიდის. ფაქტების მიმართ ისტორიკოსის დამოკიდებულება მათი აღწერისას, კიდევ ერთი საყოველთაოდ მიღებული წესით, უსათუოდ იჩენს თავს და მისი შეჯერება იმავე ეპოქის ან იგივე საზოგადოების, ანდა, უფრო ხშირად, ინდივიდის შესახებ საშუალებაა წარმოვისახოთ რეალობასთან მიახლოებული სურათი.

მოგონების წერისას ხშირად ჩნდება თავად დამწერი, ივანე ჯავახიშვილის გამონათქვამი რომ ვიხმართ, თანამედროვე „პირი უტყუველი“, „თვით-მხილველი“, „თანადამხუდარი“ და თანამონანილეც კი მოგონებაში აღწერილი ფაქტებისა. ამით ვიმართლებ თავს მკითხველის წინაშე, თუმც ისიც კარგად ვიცი, რომ თავის მართლება დიდად სანაქებო საქმე არაა. ამის გამო ბოდიშს ვუხდი მკითხველს.

<sup>1</sup> ნაკითხულია მოხსენებად კავკასიოლოგიის საერთაშორისო კონგრესზე (თბილისი, 2022 წ. 3-5 ოქტომბერი), რომელიც განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი CS-II-22-223 ].

ნეტავი ვინ თქვა, რომ მოგონების დანერა ადვილი საქმეა?! რამდენჯერაც კალამს აიღებ, იმდენჯერ ეფლობი წარსულში, ფიქრობ, ფიქრობ და ეკითხები საკუთარ თავს: „როგორ შექმნა განგებამ ამდენნაირი ადამიანი?!“ კინოკადრებივით გაირბენს წარსულში შენს გარშემომყოფთა სახეები, თითოეულისთვის დამახასიათებელი საკუთარი თვისებებით: მეტყველების მანერით, ინტონაციით, ჟესტებით და, რაც მთავარია, ხასიათის თვისებებით, რომელთაგან გამოვარჩევ, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარს — უმადურობას. ბედნიერია თავად ის ადამიანი, რომელსაც ახსოვს სიკეთე, მისთვის გაღებული, მით უფრო მასწავლებლისგან. ამ მხრივ ნამდვილად ბედნიერი ადამიანი გახლდათ ქალბატონი მარიკა, იგი პირდაპირ ათაყვანებდა თავის მასწავლებელს, რომელმაც ასპირანტად აიყვანა და დიდი ცხოვრების გზა გაუხსნა რეპრესირებული ოჯახის შვილს. ეს გახლდათ ბატონი სიმონ ჯანაშია, რომლის სურათი იმ წუთიდანვე კედლიდან დასცქეროდა მაღლიერებით აღსავსე მონაფეს, რა წუთშიც შემობრძანდა უნივერსიტეტში თანამშრომლად, უკვე მეორედ, დიდი ინტერვალის შემდგომ, ახლა უკვე საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის რანგში. უმტკივნეულოდ არც ამ ამბავს ჩაუფლია: ზოგნი ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ კათედრის გამგის თანამდებობაზე დაეყოლიებინათ ჩვენი თაობის მასწავლებლები, უკვე ასაკში მყოფნი, დამსახურებული პროფესორები, ბატონები კონსტანტინე გრიგოლია და აბელ კიკვიძე, მაგრამ მათ არ ისურვეს... ქ-ნი მარიკას მონინაალმდეგეებს რა გეგმები ჰქონდათ, კათედრის დანარჩენმა წევრებმა არ ვიცოდით, მაგრამ რაღაც გეგმა უსათუოდ რომ იარსებებდა, ეს ყველამ ვიცოდით...

ადამიანურ თვისებათაგან კიდევ გამოვარჩევდი უდიდეს სიყვარულს სკოლის მეგობრების მიმართ, ერთგულებას და, ამასთანავე, პატივისცემას. მიუხედავად დიდი შრომისა და ჯაფისა, არასდროს აკლდებოდა მათ შეკრებებს, პირიქით, იქაც, როგორც ყველგან, პირველი იყო და, რაც მთავარია, არასდროს წამოცდებოდა სიტყვა „დაკავებული ვარ“. ისინიც უფრთხილდებოდნენ, დარეკვას სჯერდებოდნენ და მხოლოდ ერთ შეკითხვას უსვამდნენ: „მარიკა, როგორ ხარ?“

ჩემი თვალთ დანახული ქ-ნი მარიკა არ გახლდათ ამპარტავანი, ადამიანებს ყოველთვის პატივისცემით ესაუბრებოდა, მასთან მომსვლელებსა და მოსაუბრეებს კი რა გამოლევდა?! საუბარი ყოველთვის საქმიანი იყო: ადამიანებს აინტერესებდათ მისი აზრი საქართველოს წარსულზე და, განსაკუთრებით, აწმყოზე. დიდად თავშეკავებული გახლდათ, აუღელვებელი, მაგრამ ასეთად ეჩვენებოდა მხოლოდ მათ, ვინც კარგად არ იცნობდა. სინამდვილეში ყველაფერი გულთან მიჰქონდა, მეტადრე ის, რაც მის ქვეყანას და ქართულ

მეცნიერებას ეხებოდა... დიდ სიმკაცრეს იჩენდა მათ მიმართ, ვინც საქართველოს ისტორიის გაყალბებას შეეცდებოდა; განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო მნიშვნელობის თავყრილობებზე იყო შეუპოვარი, მებრძოლი, მარად გუშაგივით შემართული... ბევრს ეშინოდა მისი გამოჩენის, რადგან იცოდნენ, რომ მას სიტყვას აუცილებლად მისცემდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ზინაიდა ვლადიმეროვნა უდალცოვა, რომელიც კავკასიის ქვეყნების ისტორიის საკითხებში ქალბატონი მარიკას იმედად გახლდათ. ერთი კი იყო, პირად საუბრებში უცხოელები, დიდად მოხიბლულნი მისი ფართო განათლებითა და საკითხის შესახებ წყაროთა მონაცემების განზოგადოების იშვიათი უნარით, რასაც გულწრფელად აღნიშნავდნენ კიდეც, პატივისცემას გამოხატავდნენ, მაგრამ თვალსაზრისებს მაინც არ იცვლიდნენ... მეტად მძიმე გახლდათ ქალბატონი მარიკას მდგომარეობა, როდესაც რომელიმე საბჭოთა მეცნიერი საქართველოს ისტორიას მრუდე სარკეში წარმოადგენდა, რადგან საბჭოთა დელეგაციის წევრებს შორის კამათი იკრძალებოდა: ისინი ერთ ქვეყანას წარმოადგენდნენ, „ერთ ერს“ და ერთ დაუნერულ კანონს ექვემდებარებოდნენ. პიკანტურ წინადადებას მოგახსენებთ, ოღონდ არ ვიცი ვის ეკუთვნის; საქვეყნოდ ცნობილ ამერიკელ მეცნიერზე, ეროვნებით სომეხზე, ბატონ კირილ თუმანოვზე ითქვა: თუმანოვი ბერად იმიტომ აღიკვეცა, რომ სურს სიბერეში მოინანიოს ცოდვები, რომლებიც ქართველების მიმართ ჩაუდენიაო. თუ ეს სიმართლეა, ვფიქრობ, მისი ლოცვა ქართველთაგან, პირველ რიგში, ქ-ნ მარიკას ეკუთვნის...

ქ-ნი მარიკა სულით ძლიერი პიროვნება გახლდათ, იმდენად ძლიერი, რომ თუ თვითონ არ გეტყოდა, რა ხდებოდა მის თავს, შენ ვერასგზით ამოიცნობდი. რამდენიმე ასეთი დღის მონმეც ვარ და მონაწილეც. ერთი მათგანი ის დღე იყო, როდესაც მოსკოვში ყოფნისას დამირეკა და შეხვედრა შემომთავაზა. სალამოხანი იყო. ხელში რალაც ქალაღდი ეჭირა. „ნეტავ, სულ არ მოეცათ“, მითხრა აღელვებულმა. ტექსტი იუნყებოდა, რომ მამა — დავით გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე — რეაბილიტირებულია... რამდენი უდანაშაულო ადამიანი დაიხვრიტა, ვინ მოთვლის?! მარტო იმ რიგში, სადაც ქალბატონი მარიკა იმ დღით დილიდან სალამომდე იდგა, რამდენი ადამიანი იყო, ვინმემ დათვალა?! მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც თავს დაატყდა, მაინც თვრამეტი წლის სრულიად უდანაშაულო შვილიშვილის — დათო ოთხმეზურის მკვლელობა გახლდათ... შვილს დედა — მანანა მაისურაძე — გაყვა... ამ ყველაფერს უნდა გადატანა თუ არა?! ბედად დაჰყოლია ქალბატონ მარიკას ოჯახის უდანაშაულო წევრთა სიცოცხლის ხელყოფა. მავანი იტყვის: „დრო იყო ასეთი!“ მაგრამ ეს ორი მოვლენა ნახევარ საუკუნეზე, თუ მეტით არა, დაშორებულია ერთმანეთს... ქალბატონ მარიკაში ამ შემთხვევაშიც გონ-

მა აჯობა ემოციას... გადაავლეთ თვალი მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ისტორიას.<sup>(1)</sup>

ქალბატონ მარიკაში გონმა ემოციას აჯობა იმ წყეულ 1951 წელსაც, როდესაც ბიძამისის შვილებს — თინათინ და ვახტანგ მიქელაძეებს, რომელთაც მამა დახვრეტილი ჰყავდათ, ხოლო დედა შორეულ შუა აზიაში გადასახლებული, ნავთლუღის სადგურიდან მოხუცი ძიძის იმედად დედის გზაზე აყენებდნენ, ოღონდ ხომ არ გგონიათ, რომ დედასთან ახლოს? არა, ძალიან შორს ჩაასახლეს, რომ არ ეხილათ ერთმანეთი! ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის მეცხრე პირველ კლასს იმ დღით საკონტროლო ჰქონდა მათემატიკაში. თინა, რომელიც ნიჭით აღსავსე ადამიანი იყო, არაჩვეულებრივად სწავლობდა, ამიტომაც ევედრებოდა ღამით შემოჭრილ „სტუმრებს“, ნება დაერთოთ დაენერა საკონტროლო, შემდგომ აუცილებლად მარტო მივიდოდა ნავთლულში და შეუერთდებოდა თავისიანებს... საბრალო გოგონა... ეს ისტორია პირადად ჩემი უახლოესი ადამიანის, სწორედ თინა მიქელაძისგან მომისმენია, ქალბატონ მარიკას — ჩემზე ბევრად, ბევრად ადრე... კვლავ იტყვის მავანი: „კი, ბატონო, ასეთი დრო იყო“-ო, დიახ, იყო, მაგრამ ამდენ ხანს როგორ იყო?! მხოლოდ საქართველოში რატომ განხორციელდა 1951 წლის ოპერაცია?! განა სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში არ ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელთა ოჯახის ერთი წევრი ან ერთი უახლოესი ნათესავი მაინც არ ყოფილიყო გადახვენილი უცხოეთში?! რატომ ჩატარდა ასეთი ოპერაცია მხოლოდ და მხოლოდ აქ, საქართველოში, იმის ნაცვლად, რომ არსად ჩატარებულყო?! ანდა რა დაუშავეს საბჭოთა სახელმწიფოს იმ გერმანელმა ქალბატონებმა, რომლებიც ქართველ მამაკაცებზე იყვნენ გათხოვილნი, მათ გვარებს ატარებდნენ, ჩვენი ქვეყნის ბავშვებს ასწავლიდნენ გერმანულ ენას, ლიტერატურას, კულტურას და, შუა აზიაში გადასახლებულნი, კვლავ საქართველოში ბრუნდებოდნენ თავისი მისსიის აღსასრულებლად, დასჯილნი კი მხოლოდ იმიტომ იყვნენ, რომ ღმერთმა გერმანელებად გააჩინა. მაგალითად ფ რ ა უ ლ ი ზ ა ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ი ს დასახელება კმარა...

ქალბატონი მარიკა დიდი ტაქტითა და დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ, მაგრამ ამ თვისებას მხოლოდ დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაჭრისას და მარტოდენ ქვეყნის საკეთილდღეოდ იყენებდა. ისე უცბად გაილია ჩვენი თანამშრომლობის ოცდაათობმეტი წელი, კეთილგანწყობილი ურთიერთობის, რომ არ ვთქვა მეგობრობის ხანა, რომ ვერც კი გავიგე, მაგრამ ამგვარი ურთიერთობა 2006 წლის „რეფორმის“ შემდეგაც გაგრძელდა, იმ ავბედით 2018 წლის 8 იანვრამდე, რასაც მოწმობს ქ-ნ მარიკას სურვილი, ვყოფილიყავი მისი ნაწერების კრებულების შემდგენელი და რედაქტორი. ეს თხოვნა შევეუსრულე: ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გამოვიდა

ქალბატონ მარიკას „რჩეული ნაწერების“ წიგნი I, ავტორის წინასიტყვაობით, რედაქტორის სვეტით, ხ ე ლ ა ხ ა ლ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო კ ო რ ე ქ ტ უ რ ი - თ ა და შ ე ს ნ ო რ ე ბ უ ლ ი ა პ ა რ ა ტ ი თ .<sup>(2)</sup> ამავე წესით გაკეთდა მომდევნო წიგნი II.<sup>(3)</sup>

... დადგა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარი. იატაკქვეშეთიდან სააშკარაოზე გამოვიდა ეროვნული მოძრაობა. საზოგადოების ერთი ნაწილი ითხოვდა ქალბატონ მარიკას ჩართვას მასში, რადგან, მათი აზრით, არ იყო საკმარისი ის, რასაც ქალბატონი მარიკა თავაუღებელი შრომით აღწევდა. ისინი მისგან მოითხოვდნენ განსაკუთრებულ მხარდაჭერას, სხვა ასეთი შემთხვევა მე არ ვიცი. მაგონდება ერთი დილა, როდესაც იგი უნივერსიტეტის პირველი კორპუსისკენ მოემართებოდა და მინისქვეშა გადასასვლელში აპირებდა ჩასვლას, როგორ შემოერთყნენ გარს აღელვებული ქალები, და რომ ბედად არ გამოჩენილიყო გოგი დემეტრაძე, ქალბატონ მარიკას დიდი პატივისმცემელი, არ გაერღვია წრე და არ „ეხსნა“ იგი, ეს არასასიამოვნო სცენა, ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანდა... მიტინგზე იგი არასდროს ყოფილა, ნამდვილად არასდროს, თვლიდა, რომ როგორც ცხოვრობდა, ისე უნდა ეცხოვრა, მხოლოდ ისე. საპირისპირო მხარე კი თვლიდა, რომ ახლა ქვეყანა სხვა გამოწვევების წინაშეა, ამიტომაც მან ცხოვრების წესი უნდა შეცვალოს და დადგეს იქ, სადაც რამდენიმე ასეულათასობით მოქალაქე დგას და ამით უჩვენოს ხელისუფლებას, რომ მათ მიმართ, ვინც ქუჩაშია, იგი სოლიდარულია. არის კიდევ ერთი გარემოება: შესაძლოა თავად თვლიდა, რომ არ იყო ტრიბუნი? არ ვიცი, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. არც ბატონი თამაზ გამყრელიძე ესწრებოდა მიტინგებს, მაგრამ როგორ გამოვიდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ყრილობაზე?! როგორი სიტყვა თქვა?! როგორ შეაფასა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედია მთელი მსოფლიოს გასაგონად?! მისმა სიტყვამ ელვისებურად იფეთქა და მსწრაფლ მოეფინა ცივილიზებულ სამყაროს. ერთხელ, მე ვარ მონწე, უნივერსიტეტის ბაღში, ეზოში, ქალები იდგნენ და ლექციების დასრულებას ელოდნენ. მათ შორის ძალიან ბევრი ჩემი ნაცნობი იყო, ორი — უახლოესი მეგობარი, ერთი — ლიტერატორი, მეორე — მუსიკოსი, რომელთაც მითხრეს, რომ ბატონი თამაზის ნახვა სურთ და ელიან მის გამოსვლას უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან... მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს სულ სხვა შეხვედრა იყო საუბრის ტონით, ლექსიკით, შესტებით, და რაც მთავარია, არსით. თხოულობდნენ ბატონი თამაზის მხარდაჭერას იმ საქმეში, რომლის განსახორციელებლად სახელმწიფოთა მანქანები უკვე ამოქმედებული იყო ... ბატონი თამაზი კატეგორიულად ვერ დაითანხმეს... სულ სხვა წესით ცხოვრობდა ბატონი ოთარ ჯაფარიძე, გამოჩენილი არქეოლოგი და არაჩვეულებრივი ადამიანი, ქალბატონი მარიკას განუყრელი მეგობარი და

უერთგულესი, მაგრამ მასთან მოკამათეც. მხოლოდ ერთ შემთხვევას გავიხსენებ. ქალბატონი მარიკა ხშირად საუბარს იწყებდა ერთი, მის მიერ საგანგებოდ მოფიქრებული და წარმოთქმული ფრაზით: „ერთმა დიდმა კაცმა მითხრა, რომ...“ და მიაყოლებდა თავისსავე სათქმელს. მე პირადად, ალბათ სხვებსაც, მაფრთხილებდა, ენისთვის კბილი დამეჭირა, მაგრამ ბატონ ოთართან საუბრისას ნამდვილად ერთი დიდი თანამდებობის მქონე კაცის სიტყვები გაახმოვანა: ისტორიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები კომუნისტური პარტიის წევრები უნდა იყვნენო. ეს, პირველ რიგში, ქალბატონი მარიკასა და ბატონი ოთარის მისამართით იყო ნათქვამი. ქალბატონი მარიკა არწმუნებდა ბატონ ოთარს, რომ ეს მისთვის აუცილებელი იყო, მაგრამ ვერ დაითანხმა. როგორც შემდეგ გაირკვა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მორიგი არჩევნებისთვის ემზადებოდა. ქალბატონმა მარიკამ ამ არჩევნებში გაიმარჯვა და აკადემიის სასახელოდ, შესაძლებელია მთავრობისაც, არ ვიცი, უნდა ითქვას, რომ უპარტიო ბატონი ოთარი უმტკივნეულოდ გავიდა. ან ნეტავი, ვის მოუბრუნდებოდა ხელი, რომ ოთარ ჯაფარიძისთვის ხმა არ მიეცა?! იმ დღეს კი ისეთი კამათი ჰქონდათ, მეგონა აღარასდროს გასცემდნენ ხმას ერთმანეთს, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ბატონმა ოთარმა ძველებურად მიმართა მეგობარს: „მარიკ, მარიკ, აბა, ხვალამდე“...

ქალბატონი მარიკასთვის ყველა კაბინეტის კარი ღია იყო, თვითონ კი არ მიდიოდა, მას ურეკავდნენ და სთხოვდნენ მიბრძანებულიყო. ერთი საპირისპირო შემთხვევა კარგად მახსოვს. ის მე მეხებოდა: არ მიშვებდნენ არც ერთ ქვეყანაში, დემოკრატიულშიც კი, მეოთხედი საუკუნე. ქალბატონი მარიკა ნავიდა საქმის მოსაგვარებლად საქართველოს პროფესიული კავშირების თავმჯდომარესთან, რომელთანაც ძალზე კარგი, შეიძლება ითქვას, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ეს გახლდათ ზინაიდა კვაჭაძე. ამ საქმიდან არაფერი კი არ გამოვიდა, მაგრამ ხომ ნავიდა?! მე ვფიქრობ, რომ ზოგ საკითხში ისე ღრმად არ იყო ჩახედული, როგორც მას ეგონა და ბევრი რამ, როგორც ახლა დიდად მიღებული გამოთქმაა, ფეიკად მიაჩნდა...

... ერთხელაც განგაში ატყდა — ისტორიის ფაკულტეტზე უშიშროების სამსახური საკურსო ნამუშევრებს ამოწმებსო. როგორც შემდეგ გაირკვა, ერთი სტუდენტის ნაწერი აინტერესებდათ. ეს იყო თამარ ჩხეიძე. თემა ჩემი ხელმძღვანელობით იყო შესრულებული, ამდენად, სტუდენტთან ერთად, და შეიძლება უფრო მეტადაც, პასუხს ხელმძღვანელი აგებდა. იმ დღით მე უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში მქონდა ლექციები, რომელთა მიტოვება კომუნიკაციის არსებობის პირობებშიც კი დაუშვებელი იყო, ვინმეს გამოგზავნას აზრი არ ჰქონდა, რადგან დრო ილეოდა. ამიტომ ქალბატონმა მარიკამ ჩემს თანაკურსელსა და მეგობარს მიტო ლეთოდიანს დაავალა ნაწერი მოეძებნა

იმ აუარებელ ნაწერს შორის, კათედრაზე ხუთი წელი რომ ინახებოდა და წაეკითხა. იმ ფორიაქში ვის დაებადა ასეთი აზრი, არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ერთი — თორმეტფურცლიანი რვეულიდან პირველი რამდენიმე გვერდი ოსტატურად იყო ამოხეული შესაბამის ბოლო გვერდებთან ერთად... ამ შემთხვევამაც ჩაიარა... ეს ჯგუფი, საქართველოს ისტორიის ჯგუფად წოდებული, ძალიან ნიჭიერი და პატრიოტულად განწყობილი სტუდენტებისგან შედგებოდა. მე მათ კურატორად დამნიშნეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ პასუხს ვაგებდი მათ ქმედებებზე უნივერსიტეტშიც და მის ფარგლებს გარეთაც და, რაც მთავარია, არასალექციო საათებშიც. მე მათთან სპეცკურსს ვატარებდი ცხრის ნახევარზე. ერთ დღესაც შევდივარ, არც ერთი სტუდენტი აუდიტორიაში არ არის, მაგრამ ჩანს, რომ ვილაც აქ ნამყოფი უკვე იყო... სანამ მე დავიკავე ჩემი ადგილი, სტუდენტებიც შემომყვნენ. პირველ მერხზე, ორივე მწკრივში ფოტოქალაქები ელაგა. მივხვდი, რაც იყო, მაგრამ რა ენერა, არ ვიცოდი. მისალმების შემდეგ ვთხოვე, ზედმეტი თუ რამ ენყო — ზოგს პალტო არ ჩაებარებინა, ზოგს ქურთუკი — ვეუბნები: „მგონი, ვერ მოასწარით გარდეროებში ჩაბარება, ამიტომ მე ყოველთვის ოდნავ ადრე მოვდივარ. თუ შეიძლება აალაგეთ ყველაფერი და დავინყოთ“, ვამბობ ხმამაღლა, რადგან ვიცი, რომ აუდიტორიებში, ზოგში მაინც, აპარატურაა ჩამონტაჟებული, მე კი ვფიქრობ, რომ ამ ნათქვამით ყოველი შემთხვევისთვის მაფრთხილებდნენ... დავამთავრე ლექცია, ჩამოვდივარ, მივემართები კათედრისკენ და ვგრძნობ, რომ რალაც ხდება. თურმე ერთ-ერთ ლექტორს, ვისაც ლექცია ჰქონდა იმავე კურსის სხვა ჯგუფთან, ანალოგიური ფოტოქალაქები, არც მეტი არც ნაკლები, პირდაპირ პირველ განყოფილებაში ჩაუტანია... გავიდა რამდენიმე დღე, მეუბნებიან, ქალბატონი მარიკა გეძებთო. თურმე უნივერსიტეტში დაურეკავს ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს, ნათელა ვასაძეს, სტუდენტი ლამზირა ტოტოჩავა ხვალ დილით ჩემთან მობრძანდესო. რექტორატიდან დარეკეს ისტორიის ფაკულტეტის დეკანთან, მან დაურეკა კათედრის გამგეს, ანუ ქალბატონ მარიკას, რომელმაც ბრძანა ადმინისტრაციის საერთო აზრი — კურატორი გაყვესო. „თუ საკითხი სერიოზულია, გაყვეს ფაკულტეტის დეკანი ან ერთ-ერთი მოადგილე“, ვამბობ ყველას გასაგონად. ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა... არაჩვეულებრივი ადამიანი იყო ლამზირა ტოტოჩავა — წყნარი, მშვიდი, დინჯი, სწავლას მონყურებული სტუდენტი, ჩამოსული სურებიდან, ცის კიდურზე განფენილი ულამაზესი სოფლიდან, როგორც ერთმა გურულმა ამინერა, მე კი არასდროს მენახა, არც მაშინ და არც დღეს. შევედით, ველავ, მაგრამ არ ვიმჩნევ. გამოგიტყდებით, ასეთი განრისხებული ქალი არ მინახავს მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. ახლაც მახსოვს მისი თვალები. „იცით თუ არა თქვენ, რომ ამ სტუდენტმა დაყარა პროკლამაციები ჩვენს (თუ ჩემს) ინს-

ტიტუტში?“ — მეკითხება რექტორი. „პირველად მესმის, ლამზირა ამას არ ჩაიდენდა, რაღაც მცდარი ინფორმაცია მოგანოდეს მის შესახებ“, ვპასუხობ. რექტორმა გამოიძახა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი, ჩემზე უკან რომ სწავლობდა ერთი ან ორი კლასით, სახელოვანი ოჯახიდან (გამოჩენილი მწერლის), მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს, პირველად მხედავს. ჩემი სკოლის არც ერთი მონაფის შესახებ არაფერი ამდაგვარი არ მსმენია. ეს იყო ძალზე ცნობილი და განსაკუთრებული, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ქალთა ყოფილი 23-ე საშუალო სკოლა თავისი ბრწყინვალე მასწავლებლთა კორპუსით... ის დღე იყო და ის დღე, ჩემს თანასკოლებს არასდროს მივსალმებოვარ... თავად ინციდენტმა კი ჩაიარა, რამიც, ვფიქრობ, ქალბატონი მარიკას ხელი ერია, თუმცა თვითონ არაფერი უთქვამს. ქალბატონი მარიკა რომ ძალიან კარგ ურთიერთობაში იყო გამოჩენილ მოღვაწე ქალებთან, მათ შორის ნათელა ვასაძესთან, მე ვიცოდი, რადგან მოსკოვში ერთ-ერთი ჩამოსვლისას, სადაც მე კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ვიმყოფებოდი და პარალელურად სადოქტორო დისერტაციაზე პროფესორ არონ იაკოვლევიჩ გურევიჩის ხელმძღვანელობით მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტში ვმუშაობდი, ქალბატონმა მარიკამ მითხრა, რომ სასტუმროს ნომერში ნათელა ვასაძესთან ერთად ცხოვრობდა. მაშინ განმიმტკიცდა აზრი, რომ ქალბატონმა მარიკამ სტუდენტი უნივერსიტეტიდან მგლის ბილეთით გარიცხვას, მე კი უმაღლეს სკოლაში სწავლების აკრძალვას და ახალგაზრდობასთან კონტაქტის სამუდამო განწყვეტას გადამარჩინა.<sup>(4)</sup>

ქალბატონი მარიკა რომ სანიმუშო მეგობარი იყო, ამას მოწმობს მისი თაობის, განსაკუთრებით სკოლის, უნივერსიტეტის და ისტორიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილების ადამიანთა მოგონებები ან ზეპირი მონათხრობები მასზე. ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება: საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რექტორობა შესთავაზა, მაგრამ ქალბატონმა მარიკამ უარი განაცხადა და ამ თანამდებობაზე, თვალის დაუხამხამებლად, ბატონ ოთარ ჯაფარიძის კანდიდატურა წამოაყენა. მისი უარის მიზეზი არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს უარი ერთ გარემოებას შეიძლება გამოეწვია, ისევე, როგორც ბატონ თამაზ გამყრელიძის უარი, ანდა ბატონ ოთარის ერთთვისანი რექტორობა და საკუთარი ნებით გადადგომა... გადადგა, მაგრამ ქალბატონმა მარიკამ ხომ დაასახელა?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იყო დრო, როდესაც დიდი ივანე ჯავახიშვილის დაარსებული უნივერსიტეტი არ გახლდათ მხოლოდ უმაღლესი სასწავლებელი, ის სხვა, დიდი და მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი, იდეათა გენერატორი, მათი ცხოვრებაში აღსრულებისთვის მეტრძოლი თაობის აღზრდას ემსახურებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მომავალ-



ლი ისტორიკოსები, ფილოლოგები, ფიზიკოსები, მიუხედავად მათი ეროვნული და კონფესიური კუთვნილებისა, მათი დიდი ნაწილი იდეათა ბრძოლის „ფრონტის“ წინა ხაზზე იყო, ბევრიც ახლადგამოჩენილ და ლეგალურად მოქმედ ეროვნულ მოძრაობას ფარულად გულშემატკივრობდა, მაგრამ ქვეყანა ყველას ერთნაირად უყვარდა. საერთოდ უნივერსიტეტის სტუდენტს ანდა კურსდამთავრებულს განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, რასაც სიტყვა უნივერსიტეტელი გამოხატავდა. უნივერსიტეტის ისტორიას, ყოველ შემთხვევაში იმ წლებისას და იმ კუთხით, რომელსაც მე ვგულისხმობ, თუ არ ვცდები, ერთი მკვლევარიც კი არ გამოუჩნდა და ეს იმ დროს, როდესაც ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, შემდგომში აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების დამლევს გვინერგავდა მომავალ ეთნოგრაფებს სემინარებზე, თავის საშინაო „სკოლაში“, დიდი გულმოდგინებით შეგვესწავლა ყოველი ნივთის ისტორია გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის ლიპსის ნიგნის მიხედვით — „ნივთების წარმომავლობა“, რომლის რუსული თარგმანი ჩვენს სტუდენტობამდე ბევრად ადრე უკვე არსებობდა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ იგივე საკითხზე ძალიან დიდხანს საუბრობდა პროფესორი არონ იაკოვლევჩი გურევიჩი ლექციაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც ლექციების მთელი ციკლი წაიკითხა ჩემს აუდიტორიაში და ჩემი საგნის ნაცვლად, რა თქმა უნდა, ქალბატონი მარიკას თანხმობითა და რექტორთან შეთანხმებით. ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი მ ა რ ი კ ა ნ ო ვ ა ც ი ე ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ უ ლ ი ც ი ყ ო . ჩვენ კათედრაზე შემოდიოდნენ ხოლმე გასაგებად, როდის რომელი ლექტორი ჩამოდის და რა თემაზე იგეგმება ლექციათა ციკლები. ამ გზით ჩვენმა სტუდენტებმა მოისმინეს იური ლვოვიჩ ბესსმერტნის, გენადი გრიგორიევიჩ ლიტავრინის, იაკოვ ნიკოლაევიჩ ლიუბარსკის ლექციები.

ქალბატონი მარიკა იმდენ საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო საქმეში გახლდათ ჩართული, რომ უცხოელთათვის საქართველოს ისტორიისა და შემდგომ საქართველოს ისტორიის წყაროების ინდივიდუალურად სწავლებისთვის დრო აღარ რჩებოდა. ასე გაიარეს ჩემთან რამდენიმეწლიანი სპეციალური კურსები: მარგიტ ბირომ (უნგრეთი), ოლივერ რაისნერმა (გერმანია), დონალდ რეჟფილდმა (გაერთიანებული სამეფო) და სხვებმა, აგრეთვე, ზოგადი კურსები ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა, რომელთაგან ერთი კარგად მახსოვს: ეს გახლავთ შტეფი იუნგერ-ხოტივარი; აგრეთვე, ჩვენს უნივერსიტეტში ჩარიცხულმა სტუდენტთა მთელმა ჯგუფებმა ავღანეთიდან, თურქეთიდან... სწორედ ამ ჯგუფის სტუდენტებისგან შევიტყვე პირველად, როგორი პროგრამით ასწავლიან თურქეთის ისტორიას ამ ქვეყნის ბავშვებს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში...

უნივერსიტეტში, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა შექმნილიყო საგანგებო სტრუქტურა იმგვარად, როგორც ქალბატონმა მარიკამ, რა თქმა უნდა, რექტორთან შეთანხმებით და მისი მხარდაჭერით დააფუძნა. ეს გახლდათ საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელსაც სათავეში პროფესორი გივი ჯამბურია ჩაუყენა; ჩვენ, კათედრის დანარჩენ ნევრებს, აუცილებლად უნდა გვემუშავა რამდენიმე სტუდენტთან თუ არა, ერთთან მაინც. აღნიშნულ თემატიკაზე ჯერ უნდა დანერვილიყო საკურსო ნამუშევარი, რომელსაც ორი წელი თუ არა, ერთი მაინც დასჭირდებოდა, გაფართოვების შემთხვევაში კი შესაძლებელი იყო მისი სადიპლომო ნაშრომად წარმოდგენა. ეს სტრუქტურა შეიქმნა უკრაინაში უკვე არსებულის ანალოგიით: პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე მივლინებული გახლდათ უკრაინაში, სადაც უკვე გამოცემულიყო ფილა უკრაინის სოფლების ისტორიის ამსახველი ენციკლოპედია ორმოცტომად. წარმოგიდგენიათ, რა განძია იგი დღეს?!

ერთ ეპიზოდს შევეხები კიდევ. ქალბატონი მარიკა მთავაზობს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შეყვანას კვირადღეს, 1989 წლის 16 აპრილს. მას აქვს მოსაწვევი, მეტს არავის ჩვენი კათედრიდან. არსად არის გამოკრული განცხადება, არც არავინ იცის რაიმე ამ დღის შესახებ, მაგრამ რა თქმა უნდა, იციან მათ, ვინც ოფიციალურადაა მიწვეული, მათ შორის სტუდენტებიც, ოღონდ საგანგებოდ შერჩეული და ცოტანი. ამ დღეს უნივერსიტეტში მობრძანდნენ რაზუმოვსკი, შევარდნაძე და გუმბარიძე. მთელი პირველი კორპუსი გარშემორტყმული იყო პოლიციელებით, მათ ეკავათ მისადგომები, ბალის ნაწილი, ცენტრალური შესასვლელის მიმდებარე ტერიტორია. სწორედ ამ თავყრილობაზე გაისმა ედუარდ შევარდნაძის ცნობილი სიტყვები: „...плакал я и плакал товарищ Разумовский“. საინტერესოა დაიძებნოს ამ თავყრილობის სტენოგრამა, ოქმი, ანდა გამომსვლელთა სიტყვები. აქ, ამ დღეს ქალბატონი მარიკა შესანიშნავი სიტყვით გამობრძანდა რუსულ ენაზე...

...მავანს, ალბათ, ჰგონია, რომ ქალბატონი მარიკას მთელი ცხოვრება ია-ვარდით იყო მოფენილი, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ იყო. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება, მისივე მონაყოლი. მუშაობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, დაცული ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია (1948), აგრძელებდა მუშაობას სადოქტოროზე. ათ წელზე მეტი ხანი გავიდა, ნაშრომი შეიქმნა და გადაეცა რეცენზენტს, რომლის რეცენზიის საფუძველზე საქმეს მსვლელობა უნდა მისცემოდა. ქალბატონმა მარიკამ შეკითხვით მიმართა რეცენზენტს დისერტაციის დაბრუნებისა და მასზე დაწერილი რეცენზიის გაცნობის შესახებ, პასუხად მიიღო: „რა გეჩქა-

რება, ჯერ ხომ ახალგაზრდა ხარ“-ო? არადა, ერთი წელი უკვე გასული ყოფილა დღიდან ნაშრომის გადაცემისა. მე არ ვიცი, როდის შედგა მათი საუბარი, არც ის ვიცი, კიდევ რამდენ ხანს გრძელდებოდა შეყოვნება, ვიცი დაცვის თარიღი (1963), რომელსაც თავადაც ასახელებს, აგრეთვე, ვიცი ადგილი, სადაც დაცვა შედგა, რომელსაც მეც ვესწრებოდი. ეს გახლდათ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი.

ეს არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი გულისტკენა...

... ახლოვდებოდა 1976, დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დიდი მეცნიერის „თხზულებათა“ მრავალტომეულის გამოცემისა და სხვა ღონისძიებათა შესახებ. შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, განანილდა სამუშაოები, თითქოს, თანმიმდევრობის საკითხიც დადგინდა — პირველ ტომად უნდა წასულიყო ბატონი ივანეს დაარსებული სერიის: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად“, წიგნი I: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, რომლის რედაქტორი ქალბატონი მარიკა გახლდათ. საქმე სწრაფად მიიწვდა წინ, კათედრის რამდენიმე წევრი აქტიურად მონაწილეობდა, განსაკუთრებით, წყაროებისა და ლიტერატურის მოძიებასა და სხვა საკითხებშიც. მახსოვს სრულიად ახალგაზრდა თამარ ქორიძის თავდადება, ერთი დიდი ნაწილი თქვენმა მონა-მორჩილმაც გავაკეთე, ასე რომ, 1976 წლისთვის ტომი მზად იყო გადასაცემად, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ტომების თანმიმდევრობა შეიცვალა, ქალბატონი მარიკას რედაქტორობით მომზადებულ ტომს VIII ეწოდა და 1977 წელს დაიბეჭდა, თორმეტტომეულის გამოცემა კი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნით დაიწყო, რომლის სათავეში გამოჩენილი ისტორიკოსი, ქართული აღმოსავლეთმცოდნე — ისტორიკოსთა სკოლის ფუძემდებელი, თავისი ასპირანტებისა და ახალგაზრდა მკვლევართა დიდი პატრონი, აგრეთვე, საკუთარი მიგნებების, ჯერ გამოუქვეყნებლის უშურველად გამცემი სხვათათვის, როგორც თავისიანებისთვის, რომელთაც მეც ვაკუთვნებ თავს, რაც უნიკალური შემთხვევაა, ბატონი ვალერიან გაბაშვილი იდგა.

იყო კიდევ ერთი საკითხი — მეცნიერს უნდა ჰქონოდა საშუალება გამგზავრებულიყო უცხოეთში მსოფლიო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობისთვის და თუ მას ეს არ შეეძლო, მაშინ მაღალ ინსტანციაში უნდა ეზრუნათ ისეთი რანგის მეცნიერის გაგზავნაზე, ისეთი მებრძოლის, რესპექტაბელურის, როგორც ქალბატონი მარიკა გახლდათ, რომელსაც შეეძლო საქართველოს ისტორიიდან ნებისმიერ საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობა, მით უფრო, ნებისმიერი მეცნიერის საპასუხოდ, ვინც შეეცდებოდა მისი ქვეყნის ისტორიის გაყალბებას, „მრუდე სარკეში“ წარმოჩენას. რაც უფრო დიდი საერთაშორისო

ავტორიტეტის მქონე და სახელის მატარებელი იყო ის მეცნიერი, მით მეტი იყო ქალბატონი მარიკას ბრძოლისუნარიანობა. მისი გამგზავრების საკითხი, ვფიქრობ, უნდა მოგვარებულიყო. მართალია, სლოვენიაში ჩატარებულ კონგრესში (2016) მონაწილეობა, შესაძლოა, უკვე თვითონ არც სურდა, მაგრამ კოპენჰაგენის (1996), პარიზის (2001), ლონდონის (2006) და სოფიის (2011) კონგრესებში — ძალიან უნდოდა.

თუ რაიმე ენციინებოდა, არც იტყოდა და არც გაგრძობინებდა. ძალიან ძლიერი იყო და ცდილობდა ყველაფერი თავად გადაეხარშა, ჩვეული ფორმა არ დაეკარგა, შეფასებისას გვარიანად აკვირდებოდა ვინმეს ან რაიმეს, სამართლიანი იყო და კეთილმოსურნე, ტაქტი არასდროს მოკლებია მის ნათქვამს. ერთ ბიოგრაფიაში თავისი ხელით დანერა: „აკადემიაში გატარებული „რეფორმის“ შემდეგ კონკურსში მონაწილეობა აღარ მიმიღია“. და იქვე: „უნივერსიტეტში გატარებული „რეფორმების“ შემდეგ კონკურსში მონაწილეობა არ მიმიღია“. ეს ორივე ამბავი ერთსადაიმავე ისტორიულ ხანაში მოხდა, ქალბატონი მარიკას მიერ დასმულმა ბრჭყალებმა კი კარგად აჩვენა ერთი დიდი მოვლენის არსი. პარალელისთვის მაგალითს მოვიტან იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ექცეოდნენ ჩვენი უახლოესი მეზობელი ერის შვილები თავიანთ მეცნიერებს, ოღონდ სომხეთის მიწაზე მკვიდრთ — არა. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ.<sup>(5)</sup>

კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, დაკავშირებული მიქელაძეებთან, რომელიც ქალბატონ მარიკას ჩემთვის უამბნია, ეხება ქალბატონი მარიკასა და ბატონ გიგას დედის, ქალბატონ ნინო მიქელაძის ბიძაშვილს, უნიჭიერეს ქართველს, გამოჩენილ დირიჟორს, ტრაგიკულად დაღუპულ ევგენი მიქელაძეს (Женя-ს, როგორც მას ახლობლები ეძახდნენ). ეს ეპიზოდი დაკავშირებულია ზაქარია ფალიაშვილის ოპერის — „ლატავრა“-ს დადგმასთან თბილისის საოპერო თეატრში. ეს ის დღე იყო, როდესაც ამ ოპერის გენერალური რეპეტიცია, უფრო კი სპექტაკლის ჩაბარება მიმდინარეობდა, რომელსაც ევგენი მიქელაძის მონაფე შალვა აზმაიფარაშვილი დირიჟორობდა. ბატონ ევგენის ამ გასინჯვაზე დაპატიჟებული ჰყავდა სრულიად ახალგაზრდა მარიკა და მასზე ხუთი წლით პატარა გიგა. სპექტაკლის დასრულების შემდგომ ბიძამ ახალგაზრდები ზემელამდე გამოაცილა,<sup>(6)</sup> გამოემშვიდობა და გაბრუნდა თეატრში, სადაც, სავარაუდოდ, ან სამხატვრო ხელმძღვანელის ან თეატრის დირექტორის კაბინეტში სამხატვრო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარებულიყო, რომელზედაც სპექტაკლის ავკარგიანობაზე საუბრის შემდგომ, პრემიერის დღე უნდა ჩანიშნულიყო. როდესაც ბატონი ევგენი სალაროების მხარეს თეატრის ერთ-ერთი კარისკენ მიემართებოდა, ორმა მამაკაცმა, უეცრად გამოჩენილმა, აიყვანა... ამის შემდგომ მისი გზა და კვალი დაიკარგა... ქალბატონი

მარიკას მონათხრობის სრული ჭეშმარიტება, დღეს, როცა ეს სტრიქონები ინერება, დამიდასტურა მისმა ქალიშვილმა — თ ა მ ა რ ო თ ხ მ ე ზ უ რ მ ა , რომელმაც ეს ამბავი არა დედისგან, არამედ ბებისგან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნინო მიქელაძისგან მოისმინა უკვე მოზარდმა. ამ მონათხრობით აღნიშნული ეპიზოდი მნიშვნელოვნად შეივსო. ეს ეპიზოდი იმითაა საინტერესო, რომ ევგენი მიქელაძის თავისიანებთან ყოფნის, მათთან საუბრის უკანასკნელ ნუთებს მოიცავს. სპექტაკლზე ახალგაზრდებთან ერთად მიწვეული გახლდათ ქალბატონი ნინო მიქელაძის ძმა — მიხეილ მიქელაძე, სახელმწიფო საგუნდო კაპელის მომღერალი, უახლოესი გარემოს აღწერით, არაჩვეულებრივი ადამიანი, ახალგაზრდებისთვის — საყვარელი ძია მიშა. ამ საბედისწერო დღეს, პროსპექტზე გასეირნებისას, საუბარი უფროსებს შორის საოპერო თეატრში მიმდინარე მოვლენას, კერძოდ, „ლატავრას“ პრემიერას შეეხებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი ევგენი მიქელაძის აზრით, ოპერას სჭირდებოდა რეპეტიციები, იგი მუსიკალურად ჯერ მზად არ იყო საპრემიეროდ. ბატონ ევგენის, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს, სრული უფლება ჰქონდა პრემიერა რამდენიმე ხნით გადაენია, რაზედაც ბატონი მიხეილი მოკრძალებით აფრთხილებდა: ინფორმაცია ოპერის პრემიერის შესახებ გასულია, აფიშები და პროგრამები დაბეჭდილი. ასეთ ვითარებაში სპექტაკლის მოხსნა დიდ უსიამოვნებას გამოიწვევს და ნუ იზამ ამასო. არ დაუჯერა... და რომ ამბობდნენ თეატრს შეენირო, ერთი მხრივ მართალია, თეატრს, მეორე მხრივ, უფრო თუ დავაკონკრეტებთ, თ ა ვ ი ს მ ა ლ ა ლ პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ ი ზ მ ს , და უ მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ ვ ა ს . ის გახლდათ თავისუფალი ხელოვანი, თავისი პრინციპები ჰქონდა, მონა იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ კანონების, რომლებიც საოპერო ხელოვნებას მართავდა. სწორედ ამ პრინციპების დაცვას ემსხვერპლა... ეს საბედისწერო დღე ერთია მხოლოდ იმ მრავალთა შორის, რომელთა შესახებ წერა ძალიან შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება „ლატავრას“, მისი ბედი ამგვარად წარმართა: რამდენიმე ხანს ელოდნენ სამხატვრო ხელმძღვანელის მობრძანებას, მაგრამ როდესაც შეიტყვეს მისი ამბავი, იმავე წამს მშვიდად დაიწყეს ბჭობა და მივიდნენ დასკვნამდე, რომ გეგმას უნდა გაჰყოლოდნენ. ამიტომაც ძალიან მალე, იმავე 1937 წლის შემოდგომაზე „ლატავრას“ განმეორებითი დადგმის პრემიერაც შედგა (მგონი იმავე ნოემბრის თვეში), პულტთან ბატონი ევგენის მოწაფე, დირიჟორი შალვა აზმაიფარაშვილი იდგა. ქალბატონ მარიკასა და ბატონ გივას დედის — ქალბატონ ნინო მიქელაძის — დისშვილი, ნ ი ნ ო ( ნ ი ნ უ ლ ი ) ხ ო ტ ი ვ ა რ ი ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს მონათხრობების ჭეშმარიტებას „ლატავრას“ შესახებ. ბატონ ევგენის უახლოესი ნათესავების თქმით, მისი აყვანა ნოემბერში უნდა მომხდარიყო. ერთ სამეცნიერო სტატიაში

არის მითითება „ლატავრას“ ახალ დადგმაზე. ეს გახლავთ 1938 წელი. ვფიქრობ, რომ პრემიერის თარიღის დასადგენად დამატებითი მასალების კვლავ დაძებნა საჭირო.<sup>(7)</sup> გარდა ამისა, აუცილებელია ასეთი რუდუნებითა და თავდადებით შექმნილ ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნაღვანს გამოუჩნდეს პატრონი, რათა მისი მეორე, შესწორებული და შევსებული გამოცემა განხორციელდეს.

მაგონდება ერთი საღამო, ქალბატონ მარიკასთან ერთად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გატარებული. უნივერსიტეტში იყო, მუშაობდა, უეცრად გადაწყვიტა კონცერტზე წამოსვლა. კონცერტის დაწყებიდან რამდენიმე წუთში გაისმა საღამოს წამყვანის ხმა, რომელიც მას სცენაზე იწვევდა. ქალბატონი მარიკა სცენაზე არ აბრძანებულა, რადგან აქედან ასასვლელი საერთოდ არ იყო, ამიტომ რამპასთან ახლოს მივიდა და აუდიტორიას ძალიან საინტერესო მოგონება გააცნო. ამ გამოსვლით მან იმ თვალსაზრისით გამოაცხა, რომ არც ერთ ბიოგრაფიაში არ დაუნერია და არც არასდროს უხსენებია, რომ სწავლობდა ნიჭიერ ბავშვთა ათწლეულში, ფორტეპიანოს განყოფილებაზე და, რაც ყველაზე მთავარია, ქართული პიანიზმის სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელთან, ქალბატონ ანასტასია ვირსალაძესთან. დაამთავრა თუ არა ეს სასწავლებელი, მე არ ვიცი, მაგრამ თავად ფაქტმა გამოაცხა. ისევ თ ა მ ა რ ო თ ხ მ ე ზ უ რ ი ს ნაამბობს მოგახსენებთ, რომელიც ბატონი ევგენისა და მოზარდი მარიკას დიალოგს შეეხება: „Когда я вырасту и буду пианисткой, ты же мне будешь дирижировать?“ პასუხი: „Дорогая, я дирижирую талантливых музыкантов; а из Гиги сделаю большого дирижера“. ამ ორი წინადადებიდანაც კი წარმოგესახებათ ამ ადამიანთა ფსიქოლოგიური პორტრეტები...

... გავიდა დრო... დრო კი არა, ცხოვრება, არც თუ ისე ხანმოკლე, მაგრამ მაინც ცოტა გგონია ისეთი ადამიანისთვის, როგორც მარიამ ლორთქიფანიძე გახლდათ: ენერგიული, შემტევი, მებრძოლი, რესპექტაბელური, ჭკვიანი, უდიდესი შრომისმოყვარეობითა და ორგანიზებულობით გამორჩეული, თავდაჭერილი, ჭირთა მომთმენი, ადამიანთა მიმართ კეთილგანწყობილი, მიუხედავად მათი წარმომავლობისა, სოციალური კუთვნილებისა... კიდევ რამდენი რამ შეეძლო მიეცა თავისი ხალხისთვის, სამშობლოსთვის, რამდენი შესანიშნავი ლექცია ჩაეტარებინა ახალგაზრდებისთვის, რამდენი მოხსენება წაეკითხა და დაეუბნა უცხოეთში, გამოსულიყო საჯარო ლექციებით ტელევიზიით, რადიომაუწყებლობით... მაგრამ რაც გააკეთა, ისიც საკმარისია იმისთვის, რომ ვთქვათ: თავისი მოღვაწეობით წამდვილად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი ქართული მეცნიერების ისტორიაში, აგრეთვე, გააფართოვა უცხოელ მეცნიერთა თვალსაწიერი, სხვადასხვა ენაზე გამოცემული სამეცნიერო ნაშ-

რომებითა და უცხოეთში ნაკითხული მოხსენებებით მნიშვნელოვნად საცნაური გახადა ჩვენი ქვეყნის ისტორია და დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე მისი გატანისა და პოპულარიზაციის საქმეში. ყველაფერი, რაც მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მოიცავს, ძალზე მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დგას.

## შენიშვნები

<sup>(1)</sup> ერთ ფაქტს შევხები მხოლოდ, რომელიც ჩემს ადრეულ ბავშვობაში ხდებოდა და მთელი ცხოვრება საკუთარი აჩრდილივით დამყვება. ჩვენი სახლი იდგა და დღემდეა შემორჩენილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოს, ნიაღვრის ქუჩისა და ცხემის შესახვევის გადაკვეთაზე, მთანმინდის ძირში, შემოზღუდულია მაღალი, წითელი აგურით აგებული კედლით. შუალამისას, ასე ორ ან სამ საათზე გაისმოდა ხოლმე კაკუნი კარზე. „მოვიდნენ!“, იტყოდა ოჯახის რომელიმე წევრი. მართლაც მოვიდნენ, და არა ერთხელ, პაპაჩემის — ნიკოლოზ ყაფლანის ძე ვაჩნაძის ნასაყვანად იქ, სადაც მიჰყავდათ მილიონობით საბჭოთა მოქალაქე, მთელი მისი დანაშაული კი იმაში მდგომარეობდა, რომ ვერაფრით მიაწერიხს წერილი საკუთარი ძმისთვის — დავითისთვის — იმის თაობაზე, რომ აღარასდროს გამოეგზავნა აღარც წერილი და არც ამანათი, რადგან ხელს იღებდა მის ძმობაზე (მკითხველს განვუმარტავ, რომ დავით ვაჩნაძე არ გახლავთ 1924 წლის აჯანყების გმირი დავით [დათა, დათაშა] ვაჩნაძე, თუმც ეს უკანასკნელი, ისევე როგორც ელიზბარ ვაჩნაძე, ჩვენი ნათესავია). დავით ვაჩნაძე 1924 წლის აჯანყების მარცხით დამთავრების შემდგომ, პარიზში გადაიხვეწა ოჯახით (გარდა ერთი ქალიშვილისა). ამიტომაცაა, რომ ჩვენს საგვარეულო ალბომში, რომელიც ინახება მამიდაჩემის — ანა ნიკოლოზის ასულ ვაჩნაძის ოჯახში, დავითის ქალიშვილების მხოლოდ ადრეული ასაკის ფოტოებია, შემდგომდროინდელი — აღარ. პაპას წერილი არ მიუწერია, მაგრამ ერთი მსახიობის (ქართველი გასტროლოიორის) საშუალებით ჩვენს ოჯახს შეუთვლია ვითარება საქმისა, არადა უფროსი ქალიშვილი, რომელსაც რუსულ ყაიდაზე Маруся-ს ეძახდნენ (ახალ ქართულად, შესატყვისად x სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, არ იხმარება), ბრწყინვალე საოპერო მომღერალი, საოპერო თეატრის ნამდვილი ვარსკვლავი, შემდგომ მილანის საოპერო თეატრის — ლა სკალა-ს პროფესორი, პარიზში სილამაზის კონკურსში გამარჯვებული, მხოლოდ ნაალაფავ კინოფილმში — „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში“ — ვიხილეთ მომდევნო თაობებმა, ისიც კიკეთში, მინდორში, სახელდახელოდ გადაჭიმულ ეკრანზე, მთავრობის ნებით, მაგრამ

არალეგალურ ჩვენებაზე უცხოეთისთვის. როგორც მოგეხსენებათ, ხელოვნების ყოველი ნიმუში, სხვა ქვეყანაში გატანილი, ღირს საფასური. მისი ერთი ფოტო, რომელიც მემკვიდრეობით მერგო, მამიდას ვაჩუქე, ვინც იცნობდა და ვისაც უყვარდა. მას სხვებიც ჰქონდა, რომელთაც სათუთად, მაგრამ ფარულად ინახავდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ყველა ფოტო, გარდა ჩემი ნაჩუქარისა, სადაც იგი გადაღებული იყო როზინას როლში კომპოზიტორ როსინის ოპერაში „სევილიელი დალაქი“, გამოაქვეყნა ბატონმა გიორგი ჭეიშვილმა კრებულში „სამეცნიერო პარადიგმები“ (გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2009, XIV ფოტო). რაც შეეხება ზემოხსენებულთ, აგრეთვე, აფიშებს, პროგრამებს და სხვა საინტერესო მასალას, ჩემმა მამიდაშვილმა, მანანა ასათიანმა, აღასრულა რა დედის ათეულობით წლის სურვილი, ერთ ოფიციალურ, სახელმწიფოს დიდი თანამდებობის პირს გაატანა მილანის საოპერო თეატრისთვის გადასაცემად. ეს მასალები ამ თეატრის ისტორიისთვისაც საინტერესო იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ადრესატამდე ვერ მიაღწია... თავად ამბავი თარიღდება XXI საუკუნის პირველი ათეულის მეორე ნახევრით.

(<sup>2</sup>) მარიამ ლორთქიფანიძე, „რჩეული ნაწერები“, წიგნი I, შემდგენელი და რედაქტორი ნათელა ვაჩნაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016.

(<sup>3</sup>) მარიამ ლორთქიფანიძე, „რჩეული ნაწერები“, წიგნი II, გამოსაცემად მოამზადა გამომცემლობა „ნეკერმა“, დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში, 2020 წელი.

(<sup>4</sup>) ქალბატონ მარიკას ერთ-ერთ საიუბილეო საღამოზე, სადაც მხოლოდ იუბილარს ჰქონდა ნება გარედან პირადი სტუმრების მოწვევისა, ერთად ისხდნენ: ვიქტორია სირაძე, ნელი გურგენიძე, მადონა მგელაძე, ნათელა ვასაძე. მეორე რიგში ვიჯექი, რადგან ერთ-ერთი გამომსვლელი ვიყავი, ეს ქალბატონები ჩემს უკან ისხდნენ. მე, ჩვეულებისამებრ, მივესალმე მათ, როგორც იუბილარის პირად სტუმრებს, განსაკუთრებით მადონა მგელაძეს, რომელიც პროფესორმა ალექსანდრე (ალიკ) ალექსიძემ გამაცნო ოდესღაც ერთი შემთხვევის გამო. უნივერსიტეტი აკომპლექტებდა ტურისტულ ჯგუფს საბერძნეთში სამოგზაუროდ. ბატონმა ალექსიძემ საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარესთან წარდგინება ვერ შეძლო, მაგრამ მოადგილესთან ისე დამახასიათა, რომ მას ეჭვიც კი არ შეჰპარვია საქმის კეთილად დასრულებაში. ბევრი მაგალითი დაუსახელა იმისა, თუ როგორ ვასწავლი საქართველოს ისტორიას ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ სექტორზე, სადაც თავად ანტიკური ლიტერატურის ისტორიას კითხულობდა; უამბო, როგორ დამყავდა ექსკურსიებზე მთელი კურსი ყოველ დასვენების დღეს, ეს კი დიდი მნიშვნელობის საქმედ ჩამითვალა, რადგან კ უ რ ს ი მ რ ა ვ ა ლ ე რ ო ვ ა ნ ი ი ყ ო . უნივერსიტეტის რექტორატის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საქმე-



ში ყოველ ჯერზე დიდად მიწყობდა ხელს. თავმჯდომარის მოადგილე სწორედ მადონა მგელაძე გახლდათ, მაგრამ ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა, რადგან მისი კომპეტენცია საკმარისი არ იყო, ამგვარი საკითხის გადაწყვეტა სხვა უწყებაში ხდებოდა... როდესაც დავასრულე სიტყვა ქალბატონ მარიკაზე და დავუბრუნდი ჩემს ადგილს, ნათელა ვასაძე გადმოიწია ჩემსკენ და მითხრა: „რა შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვით, სიამოვნებით გისმენდით“-ო. აშკარად ვერ მიცნო. მერე რალაცას ჩურჩულებდნენ, ვერაფერი გავიგონე, გარდა კიდევ უფრო ჩუმად წარმოთქმული გვარისა — ჟორდანიას...

ქალბატონი მარიკას დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში განთავსებულია ერთი ფოტო წარწერით: „მარიამ ლორთქიფანიძე, სერგო ზაქარიაძე და ნათელა ვაჩნაძე, ქართული კულტურის დღეები გდრ., 1969 წ.“, ოღონდ ეს მე არ ვარ, ნათელა ვასაძეა; აგრეთვე, იმავე წიგნში წარმომადგინეს იუბილარის ბიბლიოგრაფიის შემდგენელად, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ამ წიგნის შექმნაში მონაწილეობა არ მიმიღია. იხ.: „მარიამ ლორთქიფანიძე 85, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007“.

<sup>(5)</sup> ძალზე ცნობილ ამერიკელ მეცნიერს, ეროვნებით სომეხს, ნინა გიორგიევანა გარსოიანს ჩვენი ქვეყნის ისტორიის მიმართ, რბილად თუ ვიტყვით, არასამართლიანს, სომხებმა პარიზში უყიდეს სახლი, შესაძლოა ბინა, არ ვიცი, მაგრამ სად, იცით? მეთექვსმეტე უბანში, მარე რომ ჰქვია, სადაც მხოლოდ უმდიდრესი ადამიანები ცხოვრობდნენ. პარიზის კონგრესზე ჩამოსულს, ნინა გიორგიევანას, უკვე შეეძლო სასტუმროში კი არ ეცხოვრა, არამედ საკუთარ სახლში და სტუმრებიც კი მიეღო. იმ ჩამოსვლაზე მასთან ცხოვრობდა ძალიან ცნობილი მოსკოველი ბიზანტინოლოგი ვიადა არუთიუნოვა-ფიდანიანი, მეც მიმიწვია თავისთან საცხოვრებლად, დიდი მადლობა გადავუხადე და სხვა დროისთვის გადავდე...

მეორე შემთხვევა ეხებოდა ძალზე ცნობილ ლენინგრაძელ არქეოლოგს, ფრიად საპატივცემულო ქალბატონს, კარინე კუშნარიოვას. იგი ყოველ წელს მოფრინავდა სომხეთში დვინის გათხრებში მონაწილეობის მისაღებად. ექსპედიციას მრავალი წლის მანძილზე სათავეში დიდი სახელის მქონე არქეოლოგი კარო გრიგორიევიჩ კაფადარიანი ედგა, უკვე სოლიდურ ასაკში მყოფი, ძალზე დაქვეითებული მხედველობით და მძიმე ხასიათით.

ჩემმა სომეხმა კოლეგებმა მკითხეს, რომელ ექსპედიციაში მაინტერესებდა მუშაობა, მე დვინი ავირჩიე, დიდხანსაც ვიყავი და ისე დავუმეგობრდი ექსპედიციის წევრებს, სადაც მხოლოდ ქალები იყვნენ, რომ ძალიან დიდ ხანს გაგვყვა ყველას იქ ჩასახული მეგობრობა. თბილისში დაბრუნებული, რამდენჯერმე ძალიან დიდხანს ვესაუბრე ბატონ ოთარს, ჯაფარიძეს, ბევრი რამ ვუთხარი, მათ შორის ყველაზე მთავარი: Любимчик публики, როგორც მასზე

ამბობდნენ სომხეთში. ბატონმა ოთარმა მითხრა, რომ კარო გრიგორიევიჩი წყნეთელი სომეხიაო. კარინე კუშნარიოვა სინამდვილეში კუშნარიანი ყოფილა, ძალიან დიდი მუსიკოსის შვილი. ის გახლდათ ლენინგრადის კონსერვატორიის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი, რომელთანაც ქართველი მუსიკოსები, ვინც კი სწავლობდა ამ სახელოვან უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის ევგენი მიქელაძე, გადიოდნენ შესაბამის საგნებს. მხოლოდ მაშინ გახდა ჩემთვის ცნობილი, რატომ ეპყრობოდა ამგვარი სითბოთი და სიყვარულით ბატონი კარო კარინეს... მართალნი აღმოჩნდნენ ჩემი სომეხი მეგობრები...

ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში თანამედროვე ქართული ოპერა — „მინდია“ — იდგმებოდა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ვიმყოფებოდი ერევანში. სომხეთში ჩასულს, ძალიან მომინდა იმ ტაძრის ნახვა, სადაც გრიგოლ განმანათლებელს ფრინველი ფანჯრიდან აწვდიდა საკვებს. ამ სურვილის აღსრულებაში ისევ სომეხი მეგობრები უნდა დამხმარებოდნენ. მათკენ მიმავალს ოპერის თეატრის ბალი უნდა გადაამეკვეთა. უეცრად მომესმა რაღაც ძალიან ნაცნობი ხმა, არა სომხური, არამედ რუსული ინტონაციითა და სიტყვებით, დედის წამოძახილი: „Ашотик! Ашотик!“ მოვიხედე და ვიპოვე შემრჩა თავისი ხუთი წლის ვაჟი. გავემართეთ ერთმანეთისკენ. ვიცოდი, რომ მისი მეუღლე ერევნელი სომეხი იყო, სპეციალობით მხატვარი. საუბრისას ვკითხე, ხომ არ გადაგინწყვეტია აქეთ გადმოსვლა-მეთქი, რაზედაც გულიანად იცინა, ჯერ არაფერი მიპასუხა, მაგრამ სახეზე იქაურობის მიმართ აშკარად უკმაყოფილება გამოეხატა, შემდეგ კი დაბეჯითებით მითხრა — „ღმერთმა ნუ ქნას, აქ რა მინდაო?!“

<sup>(6)</sup> ზემელს ეძახდნენ თბილისის მაცხოვრებლები ერთ პატარა უბანს, სადაც თავს იყრიდა ძველი გოლოვინის ანუ დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის დასასრული, ძველი მოსკოვის ანუ ამჟამინდელი ძმები კაკაბაძეების, ივანე ჯავახიშვილის ანუ მიხეილ ზანდუკელის, ძველი ლენინის, ახლანდელი მერაბ კოსტავას ქუჩებისა და ვერის დაღმართის დასაწყისი მონაკვეთები. სახელწოდება მომდინარეობს გვარიდან ზემელ, ვინც იყო თბილისში ძალზე ცნობილი პროვიზორი, რომელსაც სწორედ ამ ადგილას ჰქონდა საკუთარი აფთიაქი, ანუ გვარი იქცა ტოპონიმად.

<sup>(7)</sup> იხ.: „ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, ავტორ-შემდგენლები და რედაქტორები: რუსუდან ქუთათელაძე, მზია ჯაფარიძე, თბ., 2015; აქვე იხილავთ სტატიების ჩამონათვალს მასზე, რომლებიც განთავსებულია აგრეთვე, მრავალ სხვადასხვა როგორც ქართულ, ისე რუსულენოვან გაზეთსა და სპეციალურ ჟურნალში. მონოგრაფიები: გიორგი თაქთაქიშვილი, „ევგენი მიქელაძე“, თბ., 1959; კნ. Тактакишвили Г. „Евгений Микеладзе“, Тბ., 1963;

Москва, 1973; ანტონ ნულუკიძე, „ევგენი მიქელაძე“, თბ., 1968. ისინი პირველად „ქართული მუსიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონშია“ დაბეჭდილი.

რაც შეეხება მონათხრობებს მასზე, ამ ადამიანთა მესსიერებაში შემორჩენილთ, ისინი სრულიად არ ეწინააღმდეგება ქალბატონ მარიკას მონათხრობებს ბიძამისზე, არამედ განამტკიცებს მათ. მსურდა ახალი თაობებისთვის მემცნო ქალბატონი მარიკას ინტერვიუ, ჩანერილი და გამოცემული ქალბატონ ლია მელიქიშვილის მიერ მისსავე შედგენილ გამოცემაში: „საქართველოს დიდი ქალბატონი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2013“, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, წინამდებარე გამოცემაში ვერ დაიბეჭდება თუგინდ ერთხელ დაბეჭდილი მასალა, ვინც არ უნდა იყოს მისი ავტორი.